დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

დუალური და კოოპერაციული სწავლებისას მეწარმე სუბიექტის/იურიდიული პირის შერჩევის წესი

BTA მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე! ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

2025 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (შემდგომში „აკადემია“) დუალური და კოოპერაციული სწავლებისას მეწარმე სუბიექტის/იურიდიული პირის შერჩევის წესი (შემდგომში - „წესი“) ეფუძნება:

- პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს;
- ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებას ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ -საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებას;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდებას და შიდა მარეგულირებელ აქტებს;
- პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო და ნორმატიულ რეგულაციებს;

2. წინამდებარე წესი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით წარმართვისას პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებისათვის მეწარმე სუბიექტის/იურიდიული პირის შერჩევის წესს და პირობებს.

3. დაწესებულებასთან ერთად პროგრამის დუალური/ კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს.

მუხლი 2. მეწარმე სუბიექტის/იურიდიული პირის შერჩევის კრიტერიუმები

1.პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას დაწესებულებასთან ერთად პროგრამის დუალური და კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის, პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

2. ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს პირი, რომელსაც სამუშაო აღწერილობის მიხედვით დავალებული აქვს აღნიშნული აქტივობის შესრულება;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაძლებელია ინიცირებულ იქნეს დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება;

4. იმის დასადასტურებლად, რომ პრაქტიკის ობიექტი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს, გამოიყენება შეხვედრის ფორმატი, რომელზეც პარტნიორს მიეწოდება ინფორმაცია:

- ✓ პროფესიულ განათლებაში ჩართულობის მნიშვნელობის/პასუხისმგელობის შესახებ;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შესახებ;
- ✓ ინფრასტრუქტურის/სასწავლო/სამუშაო გარემოს მიმართ მოთხოვნების შესახებ;
- ✓ საჭირო მატერიალური რესურსების შესახებ;

- ✓ ადამიანური რესურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ შრომის უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობის შესახებ;
- ✓ ხელშეკრულების პროექტი.

5. პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის დროს განხორციელდება ობიექტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და პროგრამის პოტენციურ განმახორციელებელ პირებთან (პარტნიორი ორგანიზაციის/პირის მხრიდან) გასაუბრება მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში;

6. კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აკადემია უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვას პრაქტიკის ობიექტისგან (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

7. მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის თანხმდება პარტნიორ ორგანიზაციაში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა;

8. კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ მხარეებს შორის ფორმდება მემორანდუმი/ხელშეკრულება[1];

მუხლი 3. პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების პირობები

1.დუალური პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

ა) სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;

გ) სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;

დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის;

ე) პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ(დუალურის შემთხვევაში);

ზ) ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის ანაზღაურების ოდენობისა და წესის, ასევე სწავლის დაფინანსებისა და მისთვის მატერიალური და/ან სხვა სახის ფინანსური დახმარების გაწევის, წახალისების და სხვა ზომების განხორციელების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში, ასევე აღნიშნულ პროცესებში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმებს (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა) (დუალურის შემთხვევაში);

ი) სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;

კ) ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;

ლ) სასწავლო საწარმოს/დაწესებულების სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს;

2. დუალური სწავლებისას პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო საწარმოს შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმდება ანაზღაურებადი სტაჟირების ან შრომითი ხელშეკრულება,

[1] შესაძლოა დამატებით არსებობდეს სხვა მტკიცებულებებიც შეხვედრის ხელმოწერის ფურცლები/შეხვედრის ოქმი/ ფოტომასალა და სხვა

რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ ამავე საწარმოში მისაღწევ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებას;

3. დუალური სწავლების სახით პროგრამის განხორციელებისას პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს, რომლის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ;

4. დაწესებულება და სასწავლო საწარმო პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით განხორციელებასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ ერთმანეთთან თანამშრომლობით. დაწესებულება და სასწავლო საწარმო ასევე უფლებამოსილი არინ, ამ მიზნით, ითანამშრომლონ პროფესიული უნარების სააგენტოსა და შესაბამის დარგობრივი უნარების ორგანიზაციასთან.

5. კოოპერაციული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი/დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

ა) პრაქტიკის ობიექტისა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) პროგრამის სახელწოდებას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;

გ) პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული მოდულების/სწავლის შედეგების ჩამონათვალს;

დ) პრაქტიკის ობიექტის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ე) პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებს

ვ) თანამშრომლობის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და თანამშრომლობის შეწყვეტის პირობებს;

ზ) პრაქტიკის ობიექტის/დაწესებულების სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

6. თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის რეესტრში განთავსებას უზრუნველყოფს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 4. ხელშეკრულების კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგი

1.მემორანდუმის/ხელშეკრულების კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგი (ანუ მემორანდუმის/ხელშეკრულების პირობების სათანადოდ შესრულება) ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების და კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის, ასევე პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის უკუკავშირის საფუძველზე .

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე გამოიცემა აკადემიის რექტორის ბრძანება;